№ 43 1 მარტი, ოთხშაბათი 1866—1878 1 მარტი, ოთხშაბათი № 43

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲣᲛᲦᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

დროება

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე—1 კაპ., ასო-ბანავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲛᲦᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба."*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ½ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

ტელეგრამები

ᲕᲔᲜᲐ, 24 თებერვალს. ბუშინ იყო კრება მინისტრებისა, რომელსაც დაესწრო იმპერატორი და რომელმანც გადაწყვიტა, რომ პარლამენტს მოსთხოვონ უფლება სახელმწიფო ხაზინიდამ ფულის დახარჯვისა იმ განზრახვით, რომ ავსტრიამ დაიცვას თავის ინტერესები აღმოსავლეთის საქმის შესახებ. ბრაფ ანდრასჩიმ სთქვა ამ კრებაში, რომ რუსეთის პირობების მიღება ავსტრო-ვენგრიას არ შეუძლიანო; განსაკუთრებით ჩვენ ვერ დავთანხმდებითო, რომ ბოლგარიის მთავალი სამთავრო იმ სამზღვრებში დაარსდეს, როგორც რუსეთი თხოულობსო. ანდრასჩის ჰაზრი ის არის, რომ რუსეთმა ან ბევრი უნდა დაუთმოს თავის პირობებში რომ ოსმალეთს ამ მორიგების შემდეგაც შეეძლოს არსებობა და ევროპაც მოსეენებული იყოს, და ან ეს სახელმწიფო (ოსმალეთი) სულ უნდა მოისპოს და იმის ნაწილები სხვა სახელმწიფოებმა დაიყონ ერთმანეთში. ამბობენ, რომ ინგლისიც ამ ჰაზრის არისო, და ავსტრია და ინგლისი ამ წინადადებას წარადგენენ კონგრესზედაო.

საქართველო

ანდრეევსკის ქალის მოკვლაზედ

ბუშინდელი დღიდამ დაიწყო თფილისის ოლქის სასამართლოში ამ ფრიად საინტერესო საქმის განხილვა, და, უეჭველია, რომ საზოგადოების ინტერესი, რომელიც ასე აღძრულია ახლა, გასტანს მას შემდეგაც, როცა ეს საქმე გათავდება.

რას მიეწერება ესეთი ინტერესი და მღელვარება საზოგადოებისა? ბანა ცოტა მკვლელობა მომხდარა და ხდება ჩვენში?

ოარი გარემოება არის, რომელიც ყველაზე უფრო ღრავს ამ საზოგადო ინტერესს, რომელიც ამ უბრალო მკვლელობას მნიშვნელობას აძლევს და ყურადღების ღირს მოვლენად ჰხდის:

პირველი—მსხვერპლი მკვლელობისა, ანდრეევსკის ქალი. შეეჭველია, რომ ვინმე უბრალო გლეხის ან აზნაურის ქალი მოეკლა ვისმე აგრე, ამის მეათედი ყაყანი, ლაპარაკი არ ატყდებოდა საზოგადოებაში, რამდენიც ამან ასტეხა. მაგრამ მოკლული იყო თ. ბორონცოვის დოქტორის, მდიდარის, დიდი კაცის ქალი,—და ეს არის ერთი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება, რომელიც ყოველგან თაყვანისმცემელია დიდ-კაცობისა და წარჩინებულობისა, ასეთის მოუთმენელის ინტერესით ყურს ადევნებს ამ საქმეს.

მეორე მიზეზიც ის არის, რომ ამ მკვლელობაში ისეთ პირებს ედებათ ბრალი, რომელთ მსგავსნი დღემდინ ამგვარს საქმეებში არ ყოფილან შემჩნეულნი; მაგრამ გამოძიებამ კი მიუთითა პირ-და-პირ თ. დავით ჩქოტუაზედ, რომელსაც მიუღია უმაღლესი განათლება, და იმის ძმაზედ, რომელიც გიმნაზიაში სწავლობდა.

ამას გარდა მკვლელობა როგორღაც საიდუმლოების ფარდით იყო ჩამოფარებული და, როგორც მოგეხსენებათ, ყოველი საიდუმლოება, ყოველი ფარდაჩამოფარებული საქმე ერთი-ორად უფრო მომეტებულ ცნობის-მოყვარეობას აღძრავს ხოლმე ადამიანში, ვინემ აშკარა, გამოცხადებული საქმე.

აი, ეს გარემოება არის იმ მომეტებული ინტერესის მიზეზი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ.

ამ მიზეზებში ყველაზე უფრო მომეტებულად იმ გარემოებამ აალაპარაკა და ააღელვა ჩვენი საზოგადოება, რომ მკვლელობას აბრალებენ განათლებულ პირებს,

„—თუ უმაღლეს სწავლა-მიღებულ კაცებმა ამისთანა ბარბაროსული საქმე ჩაიდინესო, ამბობდა საზოგადოება, მაშასადამე სწავლა-განათლება რაღა ყოფილაო? იმას არ შესძლებია არც ადამიანის ხასიათის გაკეთილ-შობილება, არც ბოროტ-განზრახულების დამშვიდება და არც ავი ბუნების დაწყნარებაო!

ჩვენ გვითხრეს, ბრალდებულ ჩქოტუების მამას კიდეე ერთი ახალგაზდა ვაჟი ჰყავსო და როდესაც ვიღამაც ურჩიაო, რომ სასწავლებელში მიეცა, მოხუცებულმა მამამ უთხრაო:

„—ვინც გამოვზარდე, იმათ რა ხეირი დამაყარეს ამ მოხუცებაშიო! სანამ ცოცხალი ვარ, ანა-ბანას ძეტს, არას ვასწავლიო ამ პატარა შვილსაო!"

და არათუ მარტო ჩქოტუების მამა, სხვებიც, ბევრნი, ასე ამბობენ თურმე.

რასაკვირველია, რომ ჯერ არავითარი უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ მართლაც უნივერსიტეტში ნამყოფი დ. ჩქოტუა ერია ამ საქმეში, რომ იმან ჩაიდინა ესეთი საძაგელი, მხეცური საქმე, როგორც ახლგაზდა ქალის მოკვლა ფულის ინტერესისათვის. მაგრამ, ეინიცობაა, კიდეც რომ გამართლდეს სასამართლოს ბრალდება, და ნამდვილად დ. ჩქოტუა ამოჩნდეს დამნაშაეედ, განა ეს ერთი მახინჯი მოვლენა დაამტკიცებს იმას, რომ სწავლა-განათლებას ადამიანის ზნეობით მხარეზე არაეითარი ზედმოქმედება არა აქვს? ბანა ერთი მაგალითიდამ საზოგადო დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა?

„ერთი მერცხალი შემოდგომას ვერ მოიყვანსო," ნათქვამია. აგრეთვე ერთი და ათი მაგალითიც ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ განათლება ადამიანის ხასიათის გამაკეთილშობილებელი, დამალმობელი, იმის ზნეობის გამრწთენელი არ იყოს. ღვთით, არც ჩვენს საზოგადოებას ეპირება ამ ჭეშმარიტების ახსნა...

ს. ᲛᲐ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲕᲔᲚᲘᲔᲠᲛᲐ ჩვეულებრივზე უფრო წყნარად, უშფოთველად ჩაიარა წელს ქალაქში. რასაკვირველია, მთვრალები საკმაოდ დაბარბაცობდნენ ქუჩებში, მუშტი-კრივეც ბევრგან გაიმართა; მაგრამ ცუდ-კაცობა, ქურდობა, კაცის-კვლა გასულ კვირაში თითქმის ბრულიად არ გაგეგონია.

მაგერად ჩვენს კლუბებში თითქმის მთელი გასული კვირის განმავლობაში იყო გაუწყნარებელი ქეიფები და ტანცობა...

ასე შეუნიშნავათ ჩაიარა აგრეთვე დიდ-მარხვის პირველმა დღემ, „შავმა ორშაბათმა.“ ᲣᲔᲜᲘᲡ ხსენებაც კი არ ყოფილა თითქმის ამ დღეს; მხოლოთ ბიჭ-ბუჭები დარბოდნენ ქუჩებში და თითქო ᲣᲔᲜᲝᲑᲐᲡ თამაშობდნენ; მაგრამ ძველებური, განთქმული ᲣᲔᲜᲝᲑᲐ აღარსად მოჩანს, გათავდა იმის მეფობა!..

*** ᲑᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ გვაცნობებს, რომ ღენ.-ადიუტ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ, რომელიც ამას წინათ ავათ იყო, ამ ჟამად ცოტათი უკვეთ არისო და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ წამოსულა ᲣᲐᲠᲡᲨᲘ, საიდამაც ამ მოკლე ხანში ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოელიანო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ სანიტარული კომიტეტები, რომელნიც ჩვენი ქალაქის გასასუფთავებლად და საზოგადოთ გაჯანმთელებისათვის არიან შემდგარნი, ამ მარტის პირველიდამ იწყებენ თავიანთ საქმეს. ᲣᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, როგორც გვითხრეს, ისინი შეუდგებიან იმ მიყრუებული ქუჩების გაწმენდას, რომელნიც ქალაქის დაარსებიდამ, მგონი, წერთხელაც არ გასუფთავებულან; შემდეგ პირუტყვის საკლავი ალაგი ქალაქს გარეთ უნდა გადაიტანონ; ამას გარდა უნდა დახურონ ზემოდამ არხები, რომელშიაც ყოველი სიმყრალე მიდის.

შბედურება ეს არ , რომ ყველა ეს ნაგავი, რომელსაც ქალაქის ქუჩებში მოკრებენ, მტკვარში უნდა ჩაჰყარონ. ამბობენ კია, რომ განკარგულება არისო, რომ შუალამეზე ადრე არ უნდა ჩაჰყარონ ნაგავი წყალშია, ასე რომ გათენებამდინ მდინარემ წაიღოს და წყალი დაიწმინდოსო.

*** სახადი თან-და-თან ჰკლებულობს ჩვენს ქალაქში; ექიმებს იმედი აქვთ, რომ თბილი დღეების დადგომისა-თანავე სახადი შეიძლება სრულებით მოისპოსო; მაგრამ, მაგიერად, შესაძლებელია სხვა რამ ავათმყოფობა გაჩნდეს ქალაქში, თუ „სათავეში,“ ე. ი. ᲐᲠᲡᲘᲡᲐ და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ ახლავე ჯეროვანი ზომები არ მიიღეს.

*** ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მოგვიტანეს ჩვენ ერთი ძველი, 1799 წელს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ლურჯ ქაღალდზე დაბეჭდილი ქართული წიგნი, სახელად: „ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲥᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲓᲐᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.“

წიგნი შეიცავს საქართველოის, საფრანგეთის, საბერძნეთის, სპარსეთის და რამდენიმე სხვა სახელმწიფოების მოკლე ისტორიას; სხვათა შორის აწერილია იმაში 1793 წლის საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ უნდა იყოს ის ᲓᲐᲕᲘᲗᲘ, რომელსაც ᲑᲘᲝᲠᲒᲘ მეფის შემდეგ, უნდა მიეღო საქართველოს ტახტის მემკვიდრეობა. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲗᲐ სთარგმნა რუსულიდამ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ და �გᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲖᲚᲐᲞᲐᲠ-ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ“, რომელიც 1803 წელს დაიბეჭდა მოსკოვში.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, 24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ. წარსულს კვირაში ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ მოასვენეს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ გვამი განსვენებული თ. ᲑᲘᲒᲚᲝ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡ, რომელიც გარდაიცვალა, როგორც ისმის, „შავი სახადისაგან.“ ᲘᲡ გარდაცვალებული შემოიტანეს ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ შუადღის შემდგომ ცხრა საათზედ იმ განზრახვით, რომ ხალხი არ შეშინებულიყო ამ სნეულობის შეტყობაზედ.

მაგრამ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ეს ამბავი და დიდი უმეცრებანი ვანაცხადა. მრთელი ის ღამე და მორე დღე სულ ამ საგანზედ იყო ხალხში ლაპარაკი, მანამდის განსვენებულს წაიღებდნენ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲡ გაღმა სოფელს ᲑᲠᲔᲛᲨᲘ დასაფლავებლად.

ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ როგორც იყო ხალხმა დაიმშვიდა გული და ერთმანეთს აიმედოვნებდნენ, რომ ის გადასადები სენი ალარ იმოქმედებდა იმათზედ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ახლა იმაზედ მომეტებული ღელვა მოახდინა ᲑᲠᲔᲛᲨᲘ დასაფლავებამ: როდესაც სამღვდელო პირები ასრულებდნენ დასაფლავების წესსა და ჩვეულებისამებრ აჭბადეს კუბოს თავები (ორს კუბოში იყო გვამი), რომ ეცხოთ გვამისათვის ზეთი, გლეხებმა უცებ ამის დანახვაზედ გაიწიეს განზედ და დაიფანტნენ, და შეიქნა ყაყანი..

რავდენი ხანიც გადიოდა, იმთვენი მდაბიო ხალხმა დაივიწყა ეს საშინელება და ბოლოს სრულებით დამშვიდდა. მართლათაც, რომ ამ გარემოებას არაფერი ენება არ მიუცია ხალხისათვის და, როგორც ეხლა დამტკიცდა, არც გარდასადები სენით მომკვდარა მიცვალებული.. ეს შემთხვევა კი აგეთ სავნებელ საგნათ ეჩვენათ ჩვენ გლეხებსა და იმას კი ვერა ჰხედვენ, რომ იმათს სოფლებში სხვა უფრო რამ ბევრია საენებელი და ღირსი ყურადღებისა.

მაგალითათ: რამდენიმე დარიგება იყო დაბეჭდილი „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ იმაზედ—თუ როგორ უნდა მოსპონ საქონლის ჭირი, რა საშუალება უნდა იხმარონ, რომ არ მისცენ გზა გავრცელებისა და რა უნდა ჰქმნან, რომ ერთის ავათმყოფი საქონლიდან მეორეზედ და ან ერთის სოფლიდგან მეორეში არ გადავიდეს ეს სენი, სენი, რომელიც საშიში არის არა-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲦᲘᲓᲛᲐᲠᲮᲝ ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲣᲠᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ

ᲑᲐᲗᲐᲕᲓᲐ ᲚᲮᲘᲜᲘ და მეჯლიში, მსუყე სადილი და ბლინები, მასკარადობა და მასხარობა ....,. ᲑᲐᲗᲐᲕᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘ.

ᲐᲒᲔᲠ დიდმარხვაცა, ეს დრო ლოცვისა, მარხვისა და სინანულისა; ჩვენის ნაფიქრის, ნათქვამის და ნამოქმედარის მოგონებისა და შემოწმებისა!..

ᲐᲒᲔᲠ მიეშურება ეკკლესიისაკენ დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი, მატყუარი და მოტყვილებული, ქურდი და გაქურდული, მცარცველი და გაცარცული, დამლუპველი და დაღუპული...

ᲛᲘᲡᲐᲪ მთელი წელიწადი არ გახსენებია ღვერთი და ერთხელაც არ შეუდგია ფეხი ეკკლესიაში, ისიც კი სულს იხსენებს ამ დიდმარხვაში...

ᲐᲛ დიდ-მარხვაში ყოველი მორწმუნე ქრისტიანი ემზადება აღსარებისთვის...

ᲛᲔᲑᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ, მღვდლებო, თქვენ სულის ექიმებო! რამოდენი ჯაფა მოგვლით! რამდენნაირი სულის სნეულების ამბავი უნდა ისმინოთ და რამდენნაირი ყველას შესაფერი სულიერი სამკურნალო დარიგება უნდა მისცეთ!.. მებრალებით, თუ არა გაქვთ არც ხალისი, არც მოთმენა, არც გაგება, არც ნიჭი, რომ მოძღვრულ და გულის გამთბობელ სიტყვებითა ჩაგდოთ სინანულში ისინი, რომელთაც თავიანთ მხეცურ ცხოვრებაში დაკორძებიათ გული, და რომელნიც მის გამო ვეღარ გრძნობენ თავიანთ ცოდვების სიმძიმესა და სიბილწესა...

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ,—ესე იგი კაცის ცხოვრების შემოწმება,—მოიტანდა კარგს ნაყოფსა, რომ ეს აღსარება სრულდებოდეს კეთილ-სინიდისიანათ ორივეს მხრითა...

რაოდენი სიკეთე შეუძლია ამ შემთხვევაში კარგ მოძღვარს თავის ჭკვიანურ დარიგებითა თუ შენანებულთათვის და თუ იმათთვის, რომელთაც სვინიდისი შერყევიათ და ვეღარ მოუხერხებიათ მისი სწორე გზაზედ დაყენება, და ეჭირებათ მშველელი, ერთი გულის დამწველი მოძღვარი, რომ თავი დაახწიონ იმ ცოდვის ლაფსა და ტალახსა, რომელშიდაც ჩავარდნილან ყელამდი თავიანთ უზნეო, ურჯოლო ცხოვრებითა.

როდენი ნაყოფი შეუძლია მოუტანოს კაცმა თავის თავსა, რომ ხშირად, თითქმის ყველდღე განიხილამდეს თავის დღიურ ცხოვრებასა, და ყოველ თავის ნაფიქრში, ნათქვამში და ნამოქმედარში უმოწმებდეს თავის თავსა: შეასრულა, თუ არა, მან თავისი კაცობრივი მოვალეობა!

რა დაუფასებელი რამ იქმნებოდა ამგვარი ჩვეულება, ეს ყოველ დღიური აღსარება სვინიდისთანა!... რა დაუფასებელნი იქნებოდნენ იმგვარნი მწურთვენელნი-მოძღვარნი, რომელნიც არათუ მარტო უგულო, ცარიელ სიტყვითა, არამედ თავიანთ წმინდა ცხოვრებითა არიგებდნენ ხალხსა და აძლევდნენ მას სინიდისიან, კეთილ ცხოვრების მაგალითსა!

რამდენნი არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ მარტო ლობიოს და ჯონჯოლის ჭამითა, გაციებულ და გაქვაებულ გულით ეკკლესიებში სიარულითა დაიმსახურონ ერთგულობა ღვთის სამსახურში და დაიმკიდრონ სასუფეველი საკუნო ცხოვრებაში!.

რამდენნი არიან, აღსარებას რომ ამბობენ, ან სახარებას რომ ისმენენ, იმავ დროს მიეშურებიან თავიანთ ჩვეულებ-

თუ მხოლოდ საქონლისათვის, არამედ ხალხისათვისაც; მაგრამ რომელს სოფელშიაც კი ამ ქამათ არის გაჩენილი ეს ჭირი, იქ დახოცილი საქონელი, არათუ დარიგების მიხედვით, არ გააქვთ სოფელს გარეთ სადმე უხეედრს ღელებში, არა თუ ეაქონლის ტყავებს არა სწავენ,—წინაალმდეგ იმისა ჭირიანის საქონლის ტყასიდგან პატრონები აკეთებენ თავისთვის ფეხსაცმელს და ლეშს იმათსას ჭრიან საზოგადო გზების მახლობლად, სადაც მუდამ ქამს დადიან ურმებში და პოეოზკებში შებმული საქონელი და ცხვრები და სადაც ეს უკანასკნელნი თითონაც ხდებიან ამ ჭირის მსხვერპლათ.

Oელავიდან რომ წაბრძანდეთ, ჯერ ჰნახავთ ჭირისაგან დახოცილის საქონლის ლეშს „აგურხანებს“ ქვემოდგან; მერმე სოფლის ნასომხრის თავში, სადაც ამ დღეებში უცებ ერთი ცხენიც დაეცა ამ ჭირისგან და დღესაც იქავე გდია; მერე იპოვით ამისთანა ლეშს წინანდლის ასავალში გზის პირში რიყეზედ; შემდგომ Oანთა-ბუშატის აღმართთან ასე, რომ მანამ გაივლით Oელავის უეზდის მიჯნას, შეგიძლიანთ ნახოთ სამოცამდინ ლეში.

ძიდევ კარგი რომ ჯერ ცივა და ლეშს სიმყრალე არა აქვს!... აბა ერთს კვირას ამისთანა თბილი ტაროსი იყოს, როგორც დღეს არის, მიშინ ნახავთ რა სურნელება დატრიალდება აჰერში და რა ზედმოქმედება ექნება ხალხზედ!...

პუკია

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა მეორე

28 თებერვალს

სხდომა გაიხსნა სწორეთ დილის 11 საათზე. დაიწყეს მოწმების ჩვენების ჩამორთმევა. Oველაზე პირველად გამოიხმეს ქ-ნა ქეთევან Oრბელიანისა, რომელმანც სთქვა, რომ სამოცდა-ათი წლის მოხუცებული ქალი ვარო, არაფერი არ მახსოვსო, რაც მაშინ ვთქვი, ისიც აღარ მახსოვს ახლაო.

ამის შემდეგ მოიხმეს მეორე მოწმე ქ-ნა ბარბარე Oუმანოვისა. Oიდხანს და გაპრტყელებით ილაპარაკა კნიაგინამ. ამის ჩვენების ჰაზრი ის იყო, რომ თვითონ ნინო ანდრეევსკის ქალისა და თ. ბ. შარვაშიძისაგან გამიგონია მე, რომ დ. ჩქოტუა ძალიან კარგი ყმაწვილი არისო და ამიტომ არასოდეს არ მჯეროდაო, რომ იმას ეს საქმე ჩაედინაო. მეორე დღეს ვნახე მე დ. ჩქოტუა და მითხრაო, რომ ერთი ძაღლი გაცოფდა და იმიტომ დანარჩენი ძაღლები დავამწყვედევინე გუშინ საღამოს, როდესაც ეს საქმე მოხდაო, და გაცოფიანებული ძაღლი კი მოვაკვლევინეო. რამდენიმე ხნის შემდეგ მომრიგებელ მოსამართლემ Oილია წინამძღვაროვმა მითხრაო, რომ ვითომც ერთი ბიჭი გატყდაო, რომ ნინო ანდრეევსკის ქალიო ჩვენ მოვკალით, დ. ჩქოტუას დარიგებითაო და ამ საქმეში ვითომც ბარბარე Oუმანოვისაც ერიაო. მე და გამომეძიებელი Oიფინოვი ვიყავით დ. ჩქოტუასთან და ვკითხეთ ეს ამბავი, მაგრამ იმან სთქვა, რომ სულ ტყუილი არის ესაო.

პლიუსჩევსკიმ სთქვა, რომ იმ ხანებში ის მოდიოდა ბორჯომიდან და ხაშურისა სტანციაზე შემხვედა დ. ანჩაბაძე, რომელმაც მითხრაო, რომ Oფლისიდამ ტელეგრამმა მივიღეო, რომ ნინო ანდრეევსკის ქალი მძიმე ავათმყოფი არის და ამისგამო მიედევარ ქალაქშიო. მე უთხარი იმას, რომ ნინო. ანდრეევსკისა, ავათ კი არა, როგორც ამბობენ, დაალრჩესო.

უკროს პოლიციმეისტარმა მ ე ლ ი ქ ბ ე გ ლ ი ა რ ო ვ მ ა დაწერილებით ასწერა—თუ როგორ შეატყობინეს იმას პირველად ნ. ანდრეევსკის ქალის დალრჩობა, როგორ წავიდა ის ანდრეევსკის სახლში, როგორ გამგზავნა მცურავებზე და ნაგზე კაცები, როგორ დახედა ის ადგილები, საცა ქალი დამღჩვალიყო და სხვ.

Oმის ჩვენებით გამოდიოდა, რომ ღამით კი არა დღისითაც არ შეეძლო კაცს იმ ალაგას ჩასვლა წყლის ნაპირს, საცა პირველად ნახეს ანდრეევსკის ქალის გახდილი ტანისამოსი და ფეხ-საცმელი. Oიწრო ჩასაშვები გზა იყო კლდიდამაო, ჩვენ თოკებით ჩაგვიყვანესო, ტალახში გავიარეთო და ფეხსაცმელები კა სრულიად მშრალი იყო, მხოლოთ ბალახზე სიარულისაგან ძირი გამწვანებული ჰქონდაო,

მ ო მ რ ი გ ებ ე ლ მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე Oილია წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ო ვ ი ამბობს, რომ საღამოს მეთორმეტე საათზე ჯერ ვილაც ბიჭი მოვიდა ანდრეევსკისაო და შეგვატყობინა, რომ ნინო დაიღრჩვაო და ცოტა ხანს შემდეგ, როცა ეიცვამდი და ვემზადებოდი ანდრეევსკის სახლში წასვლას, იმდროს მოვიდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელმანც მითხრაო, რომ მე ვარ ანდრეევსკის მამულის მმართველი Oავით ჩქოტუაო, და ამანაც ის-

---

რივ ცოდვილ გზისკენა, ანუ ცოდვის ტყისკენა!... „მალე გაათავე, მოძღვარო, მალე გამიშვი, მამაო,... ცხვარი გამექცაო...“

Oერას უშველის კაცს ვერც ჯონჯოლი და ვერც ლობიოს შეჭამანდი, თუ ხელი არ აიღო იმან სიცრუისაკენ, პირფერობისაგან, ყალბობისაგან, შურისაგან;-ვერას უშველის მას ვერც მითანიები, ვერც ცარიელი ლოკვების ბუტბუტი, თუ არ გაისწორა მან გაბრუნდებული თავისი სვინიდისი, თუ არ მოსძებნა და არ იპოვნა მან თავისი დაკარგული პატიოსნება, და თუ არ გაისუფთავა გასვრილი და გაბილწებული თავისი ცხოვრება.

Oუბედურია ის ქრისტიანედ წოდებული, რომელსაც თავის ცხოვრების მიზნად მხოლოდ ის გაუხდია, რომ ემსახუროს თავის ხორცსა, და რომელიც არ ფიქრობს და არ ზრუნამს სინიდისზედ, რაც არის უმაღლესი საგანი ფიქრობისა და მზრუნველობისა.

მაშ შეუდგეთ ამ დიდ-მარხვასა მოფიქრებითა და ჩვენი ცხოვრების მიმოხილვითა.

მოვიფიქროთ, კარგათ მოვიფიქროთ და ადვილად მოგვაგონდება: ვის რამდენი მოუტყვილია თუ ისე ცხოვრებაში, თუ ამხანაკობაში და თუ ვაჭრობაში! ვის რამდენი უქურდია, ღამით კი არა! არა, არა, დღითა, დღითა!... ღამით ქურდობა რა სახსენებელია დღით ქურდობასთან! ბუზი უფრო დიდი გამოჩნდება აქლემთან, ვიდრე ღამით ნაქურდი დღით ნაქურდთანა!... ღამით ქურდობა მშივრებისაა.... ეს ცოდვაა. ხოლო დღით ქურდობა მაძღრისებისაა—ეს დიდი ცოდვაა! ღამის ქურდი საწყალი და მოშიშარია და ხშირად დაჯილდოებული და პატიეცემული!

მოვიფიქროთ, ვის რამდენჯერ თავის სიტყვა, ფიცი გაუტეხია!

მოვიფიქროთ, ვის რამდენჯერ, ანუ რამდენნი დღით ნაქურდალი ფული ანუ ფოშტით გაუგზავნია, ანუ სადმე ბანკში შეუტანია, ანუ უსახელოდ, ანუ სხვის სახელით, და ანუ სადმე კუნჭულში მიუმალია....

მოვიფიქროთ, ვის რამდენი კაცი გაუცარცვია და უკანასკნელი ლუკმა მის ცოლ-შვილისთვის გამოუტაცნია,—ესეც ღამე კი არა! არა! ამ გვარი შემთხვევა ღამით ცოტაა... ესეც დღითა, დღით, მოურიდებლივ, უშიშრად, გამოაშკარებით, ადვოკატურად, კანონიერად...

მოვიფიქროთ, თუ ვის რამდენ ბოროტ კაცისთვის ხელი მოუმართნია თავის ბოროტ მოქმედებაში, და ვის რამდენი მართალი და პატიოსანი კაცი წაუხდენია, დაუღუპია, მიწაში ჩაუფლია თავის შურის-ძიებითა, მტრობითა სამოქალაქო ავაზაკობითა, რომელიც კაცობრიობის კანონითა არ არის ასრე დეენული და არც დაჰსჯილი...

Oიდი მოძღვრობა, Oიდი წურთვნა და მკურნალება გვეჭირება ჩვენ, რომ განვთავისუფლდეთ სულის სენისაგან, რომ გავიწმინდოთ ყოველივე ჟანგისაგან ჩვენი სინიდისი, გული, ჩვენი ზნეობა.

ქეთილო და გონიერო მოძღვარო! როგორ იშვიათი რამა ხარ! და როგორი დაუფასებელიცა ხარ, როდესაც არა თუ მარტო ცარიელ სიტყვებითა, არამედ შენის ცხოვრებითა ებაძები მას, ვის მიმბაძებელათაც შენ შედგომიხარ მღვდლობასა!...

ქალამაძე

ვე ამბავი გამომიცხადაო. ანდრეევსკის სახლში რომ მიველ, პირველადვე განკარგულება მოვახდინეო, რომ ბიჭები ცალკე დაემწყვდიათ და ყარაულები დაუყენეო; დ. ჩქოტუა ამდროს ძალიან აღელვებული და გაყვითლებული იყოვო. დავხედეთ ის ადგილი, საცა ვითომ იბანა ნინო ანდრეევსკისამ და სადაც დაიღრჩვა; მაგრამ პირველ დანახვაზედვე დავრწმუნდი, რომ იმას აქ ბანება არ შეეძლო და რომ ის, უეჭველია, მოუკლავს ვისმე და შემდეგ მოუტანიათ აქ განგებისათ იმისი ტანისამოსი. დიდ ხანს ილაპარაკა მოწამემ ანდრეევსკის ქალის ხასიათებზე და თვისებებზე. სოფ. ოქროყანაში იყოვო და, სხვათა შორის, სთქვაო, რომ მიკვირს იმისთანა მღვრიე წყალში, როგორც მტკვრის წყალია, როგორ ბანობს ხალხიო. ძალიან მხიარული და კეთილი ხასიათის ქალი იყოვო; უხაროდაო, რომ კავკასიაში მამული ერგო და სთქვაო, რომ სახლს ავაშენებ და ოჯახობას დავიწყებო და სხვ. დ. ჩქოტუა არ უყვარდაო და როგორც ერგო მაძულო, იმწამსვე იმას ჩამოართვა ამ მამულის გამგეობაო.

საზოგადოთ უფ. წინამძღვაროვის ჩვენებიდამ ცხადათ გამოდიოდა, რომ ნინო ანდრეევსკის მოკვლა უეჭველად ჩქოტუას საქმე არისო.

სხდომა შეწყდა საღამოს 6 საათზე.

(ბაგრძელება შემდეგში)

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილაზ 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბთს: ლისიცევი—შინაგანი ავთმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავთმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავთმყოფობის.

ახალი ტაქსა ბირჭის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ . —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
—დამოჟნამდინ — 1 „	50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და		
უკან — — —1 „	30 „	— „ 90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

სტუდენტს ჰსურს აძლიოს ურროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ფასი ორი შაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, საღი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა ექვსი შაური ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღე. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ბუფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სე. ცერეაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს	-	50
როსტოვს, ოდეასა, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჭა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 27 თებერ.		
ერთი ანგლი ლირს:		
ლონდონში 23 ჰენსი.		
პარიჟში 271 სანტიმი.	—	78
მსკონტი (სარგებლისფასი)	—	62
ბანკის ბილეთი 5%	7½	—
მოგებიანი (პირველისა)	96	50
მოგებიან. (მეორე სესხი)	236	50
ბირაოს ფურცლები:	235	—
თფილ. საზზ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	51
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ყავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 28 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	50
ფქვილი წითელი . .	1	40
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	7	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	30
—თარაქამისა ფუთ. .	4	20
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	40
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	60
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	7	80

Дозволено цензурою Тифлисъ, 28 Февраля 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მეისხი.